

პროფესიული კოლეჯი
«სპექტრი»

2013-2018 წლების სტრატეგია

ივნისი, 2013 წელი

შესავალი	3
1. ინსტიტუციური გარემოს მიმოხილვა	4
1.1. სტატუსი და ინსტიტუციური პარტნიორები	4
1.2. კონტექსტის მიმოხილვა	5
შესაძლებლობები	5
რისკები	6
1.3. ორგანიზაციული მიმოხილვა	7
ორგანიზაციული გამოწვევები:	8
ორგანიზაციის ძლიერი მხარეები:	8
2. მისიის განაცხადი.....	10
3. სტრატეგიული მიზნები და ამოცანები	11
სტრატეგიული მიზანი 1. კურსდამთავრებულთა რაოდენობის გაზრდა	12
სტრატეგიული მიზანი 2. სასწავლო პროგრამების ხარისხის შემდგომი განვითარება.....	12
სტრატეგიული მიზანი 3. დამატებითი ეკონომიკური საქმიანობის წახალისება და ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესება	14
სტრატეგიული მიზანი 4. ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური რესურსების განვითარება.....	14
სტრატეგიული მიზანი 5. სტუდენტების ჩართულობის გაზრდა კოლეჯის საქმიანობასა და აქტივობებში.....	15
სამოქმედო გეგმა	15
კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმება	18
პროფესიულ მასწავლებელთა კვალიფიკაცია	19
პროფესიული განათლების პოპულარიზაცია	20

შესავალი

პროფესიული კოლეჯის „სპექტრი“ სტრატეგიული გეგმა სასწავლებლის თანამშრომლებისა და სტუდენტების ერთობლივი მუშაობის შედეგია. იგი მიმოიხილავს კოლეჯის გრძელვადიან ხედვას, დანიშნულებას, მუშაობის ძირითად პრინციპებს და უმნიშვნელოვანეს მიზნებს 2013-2018 წლისათვის.

სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს კოლეჯის სამუშაო დოკუმენტს, რომელიც ხელს უწყობს სასწავლებლის პედაგოგიური კოლექტივისა და ადმინისტრაციის გაერთიანებას საერთო ღირებულებებისა და პრინციპების გარშემო, ისევე როგორც მათ შეთანხმებულ მუშაობას საერთო მიზნების მისაღწევად.

სტრატეგიული გეგმა, აგრეთვე, შესაძლებლობას აძლევს კოლეჯის თანამშრომლებსა და სტუდენტებს, შეაფასონ საკუთარი პროგრესი დასახული მიზნების მიღწევის გზაზე.

კოლეჯის სტრატეგიული გეგმა საჯარო დოკუმენტია, რომლის საშუალებითაც სასწავლებელი ცდილობს, გაუზიაროს საკუთარი სამომავლო გეგმები ყველა დაინტერესებულ მხარეს და ჩართოს ისინი საქმიანობის შეფასებისა და შემდგომი სრულყოფის პროცესებში.

1. ინსტიტუციური გარემოს მიმოხილვა

1.1. სტატუსი და ინსტიტუციური პარტნიორები

სსიპ პროფესიული კოლეჯი "სპექტრი" ოფიციალურად 2007 წელს გაიხსნა, იგი ორიენტირებულია საქართველოში სამშენებლო მიმართულების განვითარებაზე - კვალიფიციური კადრის მომზადებაზე სამშენებლო სფეროსათვის, რომელზეც მაღალი მოთხოვნაა.

კოლეჯი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. მის სახელმწიფო კონტროლს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს. კოლეჯი ერთ-ერთია სამინისტროს მიერ შექმნილი 20 პროფესიული სასწავლებლიდან, რომლის ძირითად დანიშნულებას, წესდების თანახმად, წარმოადგენს ფორმალური პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება და სერტიფიცირებული სპეციალისტების მომზადება.

კოლეჯი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით, „პროფესიული განათლების შესახებ“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონებით, სხვა ნორმატიული აქტებით და საკუთარი წესდებით.

კოლეჯი თანამშრომლობს სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მის მიერ დაარსებულ კოლეჯებთან - სასწავლო გეგმებისა და შეფასების ეროვნულ კოლეჯთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ კოლეჯთან, ასევე, საქართველოს დასაქმების ასოციაციასთან.

საკუთარი ხედვის განხორციელების პროცესში კოლეჯის მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორებია საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და კერძო სექტორი, დამსაქმებელთა ფორმალური და არაფორმალური გაერთიანებები.

კოლეჯის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა პროფესიულ ასოციაციებთან თანამშრომლობის გაძლიერება და პროფესიული ასოციაციების განვითარების მხარდაჭერა საქართველოში.

1.2. კონტექსტის მიმოხილვა

პროფესიული განათლების განვითარება საქართველოს განათლების პოლიტიკის პრიორიტეტული საკითხია. განათლების სისტემის ამ მიმართულების გაძლიერება აქტუალურია ადამიანური კაპიტალის განვითარების, შრომის ბაზარზე გარკვეულ სეგმენტებში დეფიციტის შევსების, ეკონომიკური კეთილდღეობის და, ასევე, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპის განხორციელების თვალსაზრისით.

პროფესიული განათლებისადმი მზარდი ინტერესის ფონზე, აგრეთვე, თვალსაჩინოა კოლეჯის პროფილური მიმართულებისადმი - სამშენებლო სფეროსადმი ინტერესი საქართველოში. სამშენებლო სფეროს განვითარების მხარდაჭერა, აგრეთვე, წარმოადგენს სახელმწიფო პრიორიტეტს.

2013 წლისათვის კოლეჯი წარმოადგენს ლიდერს ქართულ ბაზარზე სამშენებლო მიმართულებით ფორმალური პროფესიული განათლების უზრუნველყოფის მიმართულებით. კოლეჯი მომავალშიც გეგმავს ამ პოზიციის შენარჩუნებას და კიდევ უფრო გაძლიერებას.

ამ სტრატეგიული ხედვის განხორციელების პროცესში კოლეჯი ითვალისწინებს ინსტიტუციურ გარემოში არსებულ შესაძლებლობებსა და რისკებს.

შესაძლებლობები

მზარდი მოთხოვნა სამშენებლო სფეროში

რადგან სამშენებლო სფერო ქვეყანაში დინამიურად განვითარებად სეგმენტს წარმოადგენს, ამ სფეროში ყოველწლიურად იზრდება სამუშაო ადგილები და მოთხოვნა კვალიფიციურ კადრებზე, ისევე როგორ იკვეთება მოთხოვნა ახალ პროფესიებზე, რაც შესაძლებლობას აძლევს კოლეჯს, გაამრავალფეროვნოს სერვისი და მოიზიდოს დამატებითი ფინანსური რესურსები.

წინმსწრები განათლების აღიარების მექანიზმების არსებობა

2011 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგინდა წესი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ადამიანებს, აიღონ კვალიფიკაციის დამადასტურებელი საბუთი ადრე მიღებული სამუშაო გამოცდილებისა და განათლების გათვალისწინებით. ამ მექანიზმის არსებობა შესაძლებლობას აძლევს კოლეჯს, მნიშვნელოვნად გაზარდოს კურსდამთავრებულთა წლიური რაოდენობა და დააკმაყოფილოს მზარდი მოთხოვნა ინფრასტრუქტურის და რესურსების მნიშვნელოვანი გაფართოების გარეშე.

სახელმწიფო მხარდაჭერა და პოლიტიკა

მიმდინარე სახელმწიფო პოლიტიკა პროფესიული განათლების მიმართულებით მნიშვნელოვნად ზრდის კოლეჯის შანსებს, მოიპოვოს სახელმწიფო მხარდაჭერა

განვითარების სტრატეგიული პროექტებისათვის, ქსელური ინიციატივებისთვის, სერვისის ხარისხის გაუმჯობესებისა და სერვის დივერსიფიკაციის მიმართულებით.

დონორი ორგანიზაციების ინტერესი

ქვეყანაში არსებობს პროფესიული განათლების განვითარების მხარდაჭერის ინტერესი, როგორც სახელმწიფოს ისე საერთაშორისო დონორთა მხრიდან. კოლეჯი აპირებს, კიდევ უფრო ეფექტურად გამოიყენოს ეს შესაძლებლობა განვითარების გეგმებში საერთაშორისო გამოცდილების ინტეგრირებისა და საერთაშორისო კონტაქტების გაძლიერებისათვის.

დამსაქმებელთა ინტერესი

დამსაქმებელთა მოტივაცია, ითანამშრომლონ პროფესიულ სასწავლებლებთან, ერთობლივი ინიციატივების წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა. დამსაქმებელთან თანამშრომლობა, ერთის მხრივ, მნიშვნელოვანია პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის საქმეში და, მეორეს მხრივ, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებლების გაზრდისათვის.

ორივე მიმართულებით თანამშრომლობა, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს კოლეჯის, როგორც სამშენებლო სფეროში ლიდერი საგანმანათლებლო დაწესებულების იმიჯის განმტკიცებას.

კონკურენტების სიმწირე

ამ ეტაპისათვის კოლეჯს არ ჰყავს მნიშვნელოვანი კონკურენტები ბაზარზე, რაც ზრდის დამატებითი ფინანსური და ადამიანური რესურსების მოზიდვის ალბათობას.

რისკები

სამშენებლო სფეროში მაღალკვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნა

კოლეჯში დასაქმებული პედაგოგები, ამავე დროს, მაღალკვალიფიციური პრაქტიკოსები არიან საკუთარ სპეციალობებში. ბაზარზე მოთხოვნის ზრდასთან და სამშენებლო სფეროში პრაქტიკოსთა ანაზღაურების ზოგად ზრდასთან ერთად იზრდება პედაგოგების კოლეჯში მუშაობის ალტერნატიული ღირებულება.

სახელმწიფო სუბსიდიის სიმცირე

მიუხედავად პროფესიული განათლების დაფინანსების მაჩვენებლების ფარდობითი ზრდისა, აბსოლუტური მნიშვნელობებით პროფესიული განათლების დაფინანსება დღეისათვის მაინც დაბალია. კოლეჯის შემთხვევაში ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან პროფილის სპეციფიკიდან გამომდინარე, „სპექტრის“ სერვისის თვითღირებულება ძალიან მაღალია და სახელმწიფო დაფინანსება სრულად ვერ ფარავს ერთ სტუდენტზე გაწეულ ხარჯებს.

სახელმწიფო დაფინანსების სიმცირე საფრთხეს უქმნის კოლეჯის ფინანსურ მდგრადობას. ამ რისკის შესამცირებლად კოლეჯი მომავალშიც ითანამშრომლებს განათლების სამინისტროსთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან სახელმწიფო დაფინანსების ეფექტიანობისა და ეფექტურობის გაზრდის საკითხებზე.

1.3. ორგანიზაციული მიმოხილვა

კოლეჯში ამჟამად მუშაობს 50 პედაგოგი და 2012-2013 წწ მონაცემებით პროფესიას ეუფლება 700-მდე პროფესიული სტუდენტი, წლიური გამოშვების საშუალო მაჩვენებელია 300 კურსდამთავრებული. 2011 წლის აპრილიდან კოლეჯში ძველი (ე.წ. გარდამავალი პროგრამების) პარალელურად ამოქმედდა განახლებული პროგრამები, რომლებიც შეიქმნა პროფესიული განათლების სფეროში განხორციელებული ახალი რეგულაციების შესაბამისად.

კოლეჯში მოქმედი ყველა პროფესიული პროგრამა ამ ეტაპისათვის არის პირველი, მეორე ან მესამე საფეხურის და დაკავშირებულია სამშენებლო, სასურსათო, გარემოს დაცვისა და კომპიუტერულ სფეროსთან. კოლეჯი მომავალშიც გეგმავს ძირითადი პროფილის შენარჩუნებას.

კოლეჯში პროფესიათა უმრავლესობა ძირითადად ემსახურება სამშენებლო მიმართულების კვალიფიკაციების აღორძინებას და სრულყოფას, რაც ნიშნავს, სწავლების ახალი მეთოდების გამოყენებით, ევროპული სტანდარტების შესაბამისი, თანამედროვე კვალიფიციური მუშახელის მომზადებას. ჩვენი სტუდენტები წარმატებით ეუფლებიან: კალატოზის, მებათქაშის, მეფილე-მომპირკეთებელის, რკინაბეტონის კონსტრუქციათა მწარმოებელის, თაბაშირმუყაოს სპეციალისტის, მღებავის, შემდურებლის, ელექტრიკოსის, დურგლის, გზების მშენებლობის, მძიმე სამშენებლო ტექნიკის, ხის მხატვრული დამუშავების, არქიტექტურული დეტალების მძერწავის, სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსის, ვენტილაციისა და კონდიციონერების სისტემის მემონტაჟის, მარკშიადერიის ტექნიკოსის, ტოპოგრაფისტის, ელექტრული და ციფრული ტექნიკის შემკეთებლის, ავტომობილის სავალი ნაწილის ტექნიკოსის, ავტომობილის ზეინკალისა და ძრავის შემკეთებლის პროფესიებს. არანაკლებ მნიშვნელოვანია გარემოს დაცვის ტექნიკოსის, მებადის, სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის სპეციალისტის, კომპიუტერული ქსელების და სისტემების ტექნიკოსის, ინტერნეტტექნოლოგიების, პოლიგრაფისტის, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის, ოფისმენეჯერისა და ბულალტერიის საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც საშუალებას აძლევს ნებისმიერ ადამიანს მიიღოს თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი განათლება ან გადაემზადოს მოქნილი მოკლევადიანი ინტენსიური სწავლების მეთოდით და წარმატებით იპოვოს თავისი ადგილი, დასაქმდეს როგორც თავის ქვეყანაში ასევე მის ფარგლებს გარეთ, გახდეს კონკრუენტუნარიანი და მოტივირებული, დაგეგმოს თავისი მომავალი.

კოლეჯი აღჭურვილია უახლესი და თანამედროვე მატერიალურ - ტექნიკური ბაზით. ყველა პროფესიას გააჩნია პრაქტიკული მეცადინეობებისათვის საჭირო კლასები და სახელოსნოები. კოლეჯს უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს შენობა -ნაგებობები და მიწის ფართი. 2013 წლის მდგომარეობით კოლეჯს ათვისებული აქვს ამ ფართის დაახლოებით 40%.

ორგანიზაციული გამოწვევები:

ფართის გამოყენების ეფექტიანობის გაზრდა

გამოუყენებელი ფართის ათვისება კოლეჯის მნიშვნელოვანი ამოცანაა. ათვისებელი ფართის ნაწილი გამოყენებული იქნება სასწავლო აუდიტორიების, სახელოსნოების და კამპუსის შექმნისათვის, ისევე როგორც ინოვაციური ბიზნეს პროექტების განხორციელებისათვის.

წარმადობის სინქრონიზაცია მოთხოვნასთან

კოლეჯის მომსახურებაზე მზარდი მოთხოვნის ფონზე აქტუალურია კოლეჯის წარმადობის - გამოშვების წლიური მაჩვენებლის გაზრდა, ისევე როგორც პროგრამების დივერსიფიკაცია ახალ პროფესიებში კვალიფიციური კადრების გამოშვების უზრუნველყოფისათვის.

ფინანსური შემოსავლების გაზრდა

დღეისათვის ერთ სტუდენტზე გაწეული ხარჯები აღემატება შემოსავლებს ერთ სტუდენტზე. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისათვის კოლეჯს მუდმივად ესაჭიროება დამატებითი შემოსავლები. ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფისათვის კი აუცილებელია ამ შემოსავლების მოცულობის გაზრდა და სტაბილურობის უზრუნველყოფა.

ფინანსური მართვის სისტემების სრულყოფა

კოლეჯის სერვისზე მზარდი მოთხოვნა და წარმადობის გაზრდა წარმოუდგენელია ფინანსური მართვის სისტემების გაუმჯობესების გარეშე, ამ ამოცანის განხორციელებისათვის კოლეჯი ამჟამად მუშაობს განვითარების ფინანსურ გეგმაზე და შესყიდვების პროცესის ოპტიმიზაციაზე.

ორგანიზაციის ძლიერი მხარეები:

პროფესიონალი პედაგოგები

კოლეჯი თანამშრომლობს გერმანიის განვითარების ფონდთან “GIZ“ კოლეჯის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების კუთხით.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ფართი

კოლეჯის განკარგულებაში არსებული ათვისებელი ფართი მნიშვნელოვნად ამარტივებს გაფართოების პროცესს.

კარგი იმიჯი და შედეგები

ამ ეტაპისათვის „სპექტრი“ წამყვან პროფესიულ სასწავლებლად ითვლება სამშენებლო სფეროში. კოლეჯის კარგი იმიჯი განაპირობებს მზარდ ინტერესს სასწავლებლისადმი და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალ მაჩვენებლებს.

დამსაქმებლებთან თანამშრომლობა

დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გამართული სქემები შესაძლებლობას უქმნის კოლეჯს, კიდევ უფრო გააუმჯობესოს პროგრამების მონიტორინგი, უკეთ მოარგოს სასწავლო გეგმის შინაარსი ბაზრის მოთხოვნებს, მოიზიდოს დამატებითი თანხები და გააუმჯობესოს სერვისი.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

ამჟამად კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ფონდებთან და დონორ ორგანიზაციებთან. ამ თანამშრომლობის ძირითადი მიზანია სასწავლო პროცესში საუკეთესო პრაქტიკის ინტეგრირება, სტუდენტთა და პედაგოგთა მობილობის მაჩვენებლების გაზრდა, სასწავლო პროცესის მისადაგება საერთაშორისო სტანდარტებთან.

2. მისიის განაცხადი

კოლეჯი „სპექტრის“ ხედვაა, იყოს ლიდერი სასწავლებელი სამშენებლო სფეროში საქართველოში, სტუდენტების დასაქმების მაღალი მაჩვენებლებით, პროფესიონალი პედაგოგებით, დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროებითა და მრავალფეროვანი პარტნიორობით.

კოლეჯის მისიაა, ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით მოვამზადოთ მაღალი რანგის პროფესიონალები სამშენებლო სექტორში და შევქმნათ პირობები მათი საგანმანათლებლო მიზნების განხორციელებისა და წარმატებული დასაქმებისათვის.

ჩვენი ფასეულობები და სამუშაო პრინციპებია:

- ინდივიდუალური მიდგომა ყოველი სტუდენტისადმი;
- სწავლის პროცესში განსაკუთრებული აქცენტი სასწავლო პრაქტიკაზე - სწავლა კეთებით;
- თანამშრომლობითი, კომფორტული და ესთეტიური სასწავლო გარემო;
- მოტივირებული პედაგოგი, როგორც მნიშვნელოვანი რესურსი;
- სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობა და შრომის ბაზარზე ორიენტაცია;
- ინოვაცია, პროგრესი და ჯანსაღი ამბიციაცია.

3. სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

2013-2015 წლების განმავლობაში კოლეჯი ხუთი ძირითადი სტრატეგიული მიმართულებით იმუშავებს: გაზრდის კურსდამთავრებულთა რაოდენობას, გააუმჯობესებს პროგრამების ხარისხს, გაზრდის დამატებით შემოსავლებს და ფინანსურ სტაბილურობას, გააუმჯობესებს ინფრასტრუქტურას და იმუშავებს კოლეჯის საქმიანობაში სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა ჩართულობის გასაზრდელად.

სქემა #1 კოლეჯის სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

კურსდამთავრებულთა რაოდენობის გაზრდა	სასწავლო პროგრამების ხარისხის განვითარება	დამატებითი ეკონომიკური საქმიანობის წახალისება და ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესება	ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური რესურსების განვითარება	სტუდენტების ჩართულობის გაზრდა კოლეჯის საქმიანობასა და აქტივობებში
<p>არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მექანიზმების ამოქმედება -----</p>	<p>საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსის მოპოვება და წამყვან დარგებში მე-4, მე-5 საფეხურის დამატება</p>	<p>სამშენებლო სფეროში კადრების გადამზადებისა და კონსალტინგის მომსახურების დანერგვა</p>	<p>კერძო ინვესტორებისა და დონორების მოზიდვა დამატებითი სასწავლო ფართების და აღჭურვილობის რეაბილიტაციისათვის</p>	<p>კურსდამთავრებულთა როლის გაზრდა კოლეჯის განვითარების საქმეში -----</p>
<p>სასწავლო სამეწარმეო პარტნიორობითა და დონორებთან თანამშრომლობით სასტიპენდიო პროგრამების დანერგვა;</p>	<p>ახალი პროფესიული პროგრამების შექმნა და დანერგვა</p>	<p>სამოყვარულო კურსების დანერგვა</p>	<p>ფინანსების მართვის სისტემის შემდგომი განვითარება</p>	<p>სტუდენტური თვითმმართველობის გაძლიერება</p>
<p>საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი ხარისხის მართვის შიდა სისტემის ამოქმედება</p> <p>საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისათვის საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება</p> <p>სასწავლო პროცესის მეთოდოლოგიის გაუმჯობესება (გადამზადებულია პედაგოგთა სულ მცირე 50%)</p>	<p>შემოსავლის მომტანი ინოვაციური პროექტების იდენტიფიცირება და განვითარება</p>			

ხუთივე მიმართულება ურთიერთდამოკიდებულია ერთმანეთზე. სერვისის გამრავალფეროვნებისა და გაფართოების ფონზე აქტუალურია ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების საკითხები. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების სრულყოფილი ფუნქციონირება წარმოუდგენელია სტუდენტთა აქტიური ჩართულობის, ისევე როგორც გამართული ინფრასტრუქტურის გარეშე. გაფართოების სტრატეგიის განხორციელებისათვის აგრეთვე აუცილებელია კოლეჯის დამატებითი შემოსავლების გაზრდა. ფინანსური სტაბილურობა კი, თავისმხრივ დამოკიდებულია კოლეჯის იმიჯზე.

ეს თავი მიმოიხილავს კოლეჯის სტრატეგიულ მიზნებს და ამოცანებს, რომელთა განხორციელებაც აუცილებელია თითოეული სტრატეგიული მიზნის მისაღწევად.

სტრატეგიული მიზანი 1. კურსდამთავრებულთა რაოდენობის გაზრდა

სამშენებლო სფეროში პროფესიულ განათლებაზე მზარდი მოთხოვნის ფონზე კოლეჯის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს კურსდამთავრებულთა წლიური მაჩვენებლების გაზრდა. 2011 წლის მდგომარეობით ყოველწლიური გამოშვების მოცულობა დაახლოებით 300 ადამიანია. სტრატეგიული გეგმის თანახმად, გამოშვების წლიური მაჩვენებელი 2012 წლიდან ყოველწლიურად სულ მცირე 40 %-ით გაიზრდება წინა წლის მაჩვენებლებთან შედარებით.

ამოცანა 1.1 არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მექანიზმების ამოქმედება

2011 წლის ზაფხულისათვის საქართველოში უკვე არსებობს წინმსწრები განათლების აღიარების ფორმალური წესი. უახლოეს წლებში ამ ბაზარზე მკვეთრად გაიზრდება მოთხოვნა სერტიფიცირებულ სპეციალისტებზე. კოლეჯის შეფასებით, უახლოეს მომავალში წინმსწრები განათლების აღიარების კუთხით მოთხოვნა მაღალი იქნება სამშენებლო მიმართულებებზე.

ამოცანა 1.2 სასწავლო სამეწარმეო პარტნიორობითა და დონორებთან თანამშრომლობით სასტიპენდიო პროგრამების დანერგვა;

სასტიპენდიო პროგრამების ამოქმედება კოლეჯის კიდევ ერთი ამოცანაა. ამ კუთხით კოლეჯი აპირებს თანამშრომლობას როგორც სოციალურ პარტნიორებთან, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებთან. კიდევ ერთ პარტნიორად კოლეჯი მოიაზრებს საელჩოებს, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლების კოორდინირებას უწევენ ამ სფეროს.

სტრატეგიული მიზანი 2. სასწავლო პროგრამების ხარისხის შემდგომი განვითარება

ამ სტრატეგიული მიზნის ფარგლებში კოლეჯს რამდენიმე მიმართულებით იმუშავებს - ერთის მხრივ იგეგმება პროგრამების მრავალფეროვნების გაზრდა, ისევე როგორც სწავლების

ახალი (მეოთხე და მეხუთე) საფეხურების დამატება, პროფესიული პროგრამების მოდიფიცირება, მოდულირებული პროგრამების დანერგვა, მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება, ხარისხის შიდა სტანდარტების შექმნა და შიდა აუდიტის (შეფასების სისტემის) ამოქმედება. ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით დაგეგმილი პროგრესის შეფასებისას კოლეჯი სწორედ შიდა შეფასების შედეგებს დაეყრდნობა.

ამოცანა 2.1 საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსის მოპოვება და წამყვან დარგებში მე-4, მე-5 საფეხურის დამატება

კოლეჯი გამოკვეთილი ლიდერია სამშენებლო სეგმენტში სპეციალისტების მომზადების კუთხით. პროფესიული განათლების დასკვნითი - მეოთხე-მეხუთე საფეხურების დამატებით კოლეჯი მომხმარებლებს მომსახურების უფრო სრულ სპექტრს შესთავაზებს საკვანძო მიმართულებებში და კიდევ უფრო განიმტკიცებს ლიდერის პოზიციას ბაზარზე. ამისათვის, კოლეჯის შეფასებით, არსებობს როგორც გარე მოთხოვნა, ისე შიდა რესურსები - მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და კვალიფიციური პერსონალი. შესაბამისად, სტრატეგიული გეგმის მიხედვით.

ამოცანა 2.2. ახალი პროფესიული პროგრამების შექმნა და დანერგვა

პროფესიული განათლების ახალი საფეხურების დამატების პარალელურად კოლეჯი, აგრეთვე, გეგმავს პროგრამების სპექტრის მრავალფეროვნების გაზრდას.

ამოცანა 2.3 საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი ხარისხის მართვის შიდა სისტემის ამოქმედება

ქვეყანაში ინტენსიურად მიმდინარეობს ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების - პროფესიული სტანდარტების, პროგრამული აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცედურების ამოქმედება და სრულყოფა. ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების არსებობის პარალელურად მნიშვნელოვანია ხარისხის სტანდარტების შემუშავება პროფესიული სასწავლებლის შიგნითაც და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ამოქმედება. 2013 წლისათვის, სტრატეგიული გეგმის თანახმად, კოლეჯში შემუშავებული იქნება ხარისხის შიდა მიზნები და ამოქმედებული იქნება შიდა შეფასების ციკლური სისტემა. პროგრამების ხარისხის შიდა სტანდარტებში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება საწარმოო პრაქტიკის ხელმისაწვდომობისა და სტუდენტებში სამეწარმეო უნარების განვითარების საკითხებზე.

ამოცანა 2.4 საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისათვის საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება

კოლეჯი გეგმავს საერთაშორისო ექსპერტების მასტერ კლასების ორგანიზებას საქართველოში; ამ მიმართულებით იგი უკვე თანამშრომლობს გერმანელ, ნორვეგიელ და უკრაინელ პარტნიორებთან. ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო ღონისძიებებში (კონკურსებსა და გამოფენებზე) კოლეჯის თანამშრომლებისა და სტუდენტების მონაწილეობის მაჩვენებლების გაზრდა.

ამოცანა 2.5 სასწავლო პროცესის მეთოდოლოგიის გაუმჯობესება (გადამზადებულია პედაგოგთა სულ მცირე 50%)

გერმანიის განვითარების ფონდთან giz თანამშრომლობით კოლეჯი გეგმავს ექსპერტებისა და დარგობრივი პედაგოგების მოკლევადიანი ვიზიტების სისტემის აწყობას. ზაფხულსა და შემოდგომაზე იგეგმება საგნობრივი ექსპერტების მოწვევა. გრძელვადიანი გეგმის თანახმად, გათვალისწინებულია პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობა გერმანულ სამშენებლო კომპანიებთან.

სტრატეგიული მიზანი 3. დამატებითი ეკონომიკური საქმიანობის წახალისება და ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესება

ბაზარზე მზარდ მოთხოვნას კოლეჯი საკუთარი ფორმალური პროგრამების სპექტრის გაფართოებითა და სწავლების ახალი საფეხურების დამატებით პასუხობს. რადგან პროფესიული განათლების სახელმწიფო დაფინანსება აბსოლუტური მნიშვნელობით მაინც მცირეა, გაფართოების სტრატეგიის განხორციელება წარმოუდგენელია დამატებითი შემოსავლების ზრდის გარეშე. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია რომ უახლოესი ორი წლის განმავლობაში კოლეჯმა გაზარდოს დამატებითი შემოსავლები და შეძლოს ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესება. სტრატეგიული გეგმის თანახმად, არასაბიუჯეტო შემოსავლების მაჩვენებელი 2013 წლისათვის 30%-ით გაიზრდება 2012 წელთან შედარებით

ამოცანა 3.1 გადამზადების კურსების დანერგვა

2013 წლისათვის კოლეჯი გეგმავს მოკლევადიანი, ფასიანი, გადამზადების კურსების ამოქმედებას. კოლეჯის შეფასებით, რამდენიმე მიმართულებით უკვე გამოიკვეთა მოთხოვნა ამგვარ კურსებზე. კურსების შექმნის იდეა ეხმიანება სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონცეფციას, შესაძლებლობას აძლევს კოლეჯს, უფრო პოპულარული გახადოს საკუთარი საქმიანობა და მოიზიდოს დამატებითი ფინანსური რესურსები.

ამოცანა 3.3 შემოსავლის მომტანი ინოვაციური პროექტების იდენტიფიცირება და განვითარება

2013 წლისათვის კოლეჯი უკვე აწარმოებს მოლაპარაკებებს ადგილობრივ და საერთაშორისო კომპანიებთან ერთობლივი ბიზნეს პროექტების განხორციელებისათვის. ბიზნეს იდეების პრიორიტეტიზაციისათვის შეიქმნება ბიზნეს იდეების რეესტრი და რანჟირების კრიტერიუმები, ისევე როგორც მოეწყობა პრიორიტეტული პროექტების განხილვა პოტენციურ დონორებთან, ინვესტორებსა და პარტნიორებთან.

სტრატეგიული მიზანი 4. ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური რესურსების განვითარება

კოლეჯის ფორმალური პროგრამების გაფართოების სტრატეგიის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია კოლეჯის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. 2013-2015 წლისათვის, კოლეჯის გათვლებით, რეაბილიტირებული და აღჭურვილი უნდა იყოს დამატებითი ფართები (სასწავლო, კამპუსი და ა.შ). ამისათვის, კოლეჯმა უნდა შეძლოს რეაბილიტაციის გეგმის შემუშავება და სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის ფინანსების მოძიება. ასევე, გაფართოების გეგმა გულისხმობს ბრუნვის ზრდასაც, რისთვისაც მნიშვნელოვანია ფინანსური მართვის სისტემის გაუმჯობესება და შესყიდვების პროცესის ოპტიმიზაცია.

ამოცანა 4.1 კერძო ინვესტორებისა და დონორების მოზიდვა დამატებითი სასწავლო ფართების და აღჭურვილობის რეაბილიტაციისათვის

ამ ამოცანის ფარგლებში კოლეჯი გეგმავს საჭიროებათა კვლევის განხორციელებას, რომლის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდება ფართის დატვირთვის, ისევე როგორც აღჭურვილობის რეაბილიტაციის დეტალური გეგმა. ეს გეგმები, საპროექტო წინადადებების სახით, წარედგინებათ პოტენციურ დონორებსა და ინვესტორებს სპეციალურად ამ მიზნით ორგანიზებულ შეხვედრაზე.

სტრატეგიული მიზანი 5. სტუდენტების ჩართულობის გაზრდა კოლეჯის საქმიანობასა და აქტივობებში

სტუდენტების და კურსდამთავრებულთა ჩართვა კოლეჯის მართვაში პროგრამების ხარისხის განვითარებისა და კოლეჯის პოპულარობის ზრდის მნიშვნელოვან სტრატეგიად მიიჩნევა. გეგმის თანახმად, 2012 წლის ბოლოსათვის კოლეჯში ჩატარდება სტუდენტთა გამოკითხვა, სადაც სტუდენტები შეაფასებენ საკუთარ ჩართულობას კოლეჯში საქმიანობაში. კოლეჯში ხელს შეუწყობს სტუდენტური პროექტების განხორციელებას. 2012 წლიდან წლიურად ტარდება სტუდენტური პროექტები.

ამოცანა 5.1 კურსდამთავრებულთა როლის გაზრდა კოლეჯის განვითარების საქმეში და ბიზნეს ინკუბატორის შექმნა

კურსდამთავრებულთა ბიზნეს ინკუბატორის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს კოლეჯის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა შორის გამოცდილების გაზიარებას და სტუდენტთა დასაქმებას, ისევე როგორც კოლეჯის საქმიანობის პოპულარიზაციას. გეგმის თანახმად, 2013 წლისათვის უკვე არსებობს ბიზნეს ინკუბატორი, ხოლო ბიზნეს ინკუბატორის საქმიანობის პოპულარიზაციის ღონისძიებების შედეგად ინკუბატორის წევრთა რაოდენობა ყოველწლიურად გაიზრდება.

ამოცანა 5.2 სტუდენტური თვითმმართველობის გაძლიერება

სტუდენტური თვითმმართველობის გაძლიერებისათვის კოლეჯი გეგმავს სტუდენტური პროექტების განხორციელების წახალისებას. გეგმის თანახმად, 2013-2015 წელს კოლეჯის მხარდაჭერით განხორციელდება სტუდენტური პროექტები სტუდენტების მიერ ამორჩეულ პრიორიტეტულ საკითხებზე.

სტრატეგიული მიზანი 1. სასწავლო პროგრამების ხარისხის შემდგომი განვითარება

ინდიკატორი: 2013 წლის დასასრულს ჩატარებული თვითშეფასება ადასტურებს კოლეჯის მიერ დასახული ხარისხის მიზნების მიმართულებით დაგეგმილ პროგრესს

აქტივობები	ვადები	პასუხისმგებელი პირი	ინდიკატორები/ გადამოწმების საშუალება	დაშვებები	პარტნიორები
ამოცანა 2.1 საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსის მოპოვება და წამყვან დარგებში მე-4, მე-5 საფეხურის დამატება			2013-2014 წლის დასრულისათვის სპექტრს მინიჭებული აქვს საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსი		
2.1.1 ავტორიზაციისათვის პროცესის გავლა	2013-2014	დირექტორი; დირექტორის მოადგილე; პროგრამებისა და ხარისხის მენეჯერი; იურისტი; სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი.	დადგენილ ვადებში წარდგენილი დოკუმენტაცია		
2.1.2 პროგრამული აკრედიტაციისათვის მომზადება და გავლა	2013-2014	დირექტორი; დირექტორის მოადგილე; პროგრამებისა და ხარისხის მენეჯერი; იურისტი; სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი.	დადგენილ ვადებში წარდგენილი დოკუმენტაცია		
ამოცანა 2.2. ახალი პროფესიული პროგრამების შექმნა და დანერგვა;			2013 წლის ბოლომდე დანერგილია სულ მცირე 5 ახალი პროგრამა.	არსებობს დამტკიცებული პროფესიული სტანდარტები	
2.2.1 დამტკიცებულ ახალი პროგრამების დანერგვა	2013-2014	დირექტორი; დირექტორის მოადგილე; პროგრამებისა და ხარისხის მენეჯერი; სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი.	გამოცხადებულია სტუდენტების მიღება მებათქაშეს, თაბაშირ მუყაოს სპეციალისტის, მღებავის, ელექტრიკოსის, შემდღუღებლის პროგრამებზე		

2.2.4 ახალი პროგრამების შემუშავება და დანერგვა	2013-2014	დირექტორის მოადგილე; პროგრამებისა და ხარისხის მენეჯერი; სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი.	სასაწავლო პროგრამების აღწერის დოკუმენტები	სტანდარტების არ არსებობის შემთხვევაში, სტანდარტების შექმნაში აქტიური მონაწილეობა და ამ პროცესის ინიცირება	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული კოლეჯი
ამოცანა 2.3 ხარისხის მართვის შიდა სისტემის გაუმჯობესება			ამოქმედებულია საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი ხარისხის მართვის შიდა სისტემა	არსებობს გარე ექსპერტის მოზიდვის შესაძლებლობა.	
2.3.1 ხარისხის მიზნებისა და ინდიკატორების შემუშავება	2013-2014	პროგრამებისა და ხარისხის მენეჯერი;	საერთაშორისო სტანდარტებთან შესაფერისი მიზნების დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია საბჭოს მიერ		
2.3.2 ხარისხის მართვის პროცედურების გაწერა	2013-2014	პროგრამებისა და ხარისხის მენეჯერი;	პროცედურებისა და თანდართული ფორმების/ინსტრუქციები ს სახელმძღვანელო. რომელიც მოიცავს, როგორც ძირითადი პროცესების, ასევე დამხმარე მონიტორინგისა და შეფასების პროცედურებს. ასევე რესურსების სტანდარტიზების ინსტრუქციებს.		
2.3.3 ხარისხის მართვის განახლებული სისტემის საპილოტე დანერგვა	2013-2014	პროგრამებისა და ხარისხის მენეჯერი; სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი.	სისტემის ფუნქციონირების ჩანაწერები, შიდა აუდიტის ანგარიშები		
2.3.5 თვითშეფასების განხორციელება და ხარისხის გაუმჯობესების შემდგომი გეგმის ფორმირება	2013-2014	პროგრამებისა და ხარისხის მენეჯერი; სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი.	თვითშეფასების ანგარიში და განვითარების გეგმა		
2.3.6 განახლებული სისტემის სრულად ამოქმედება	2013-2014	დირექტორი; დირექტორის მოადგილე	სისტემის ფუნქციონირების ჩანაწერები, შიდა აუდიტის ანგარიშები		
ამოცანა 2.4 საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისათვის საერთაშორისო			2013 წლისათვის მეტი სტუდენტი, კურსდამთავრებული თუ	არსებობს შესაბამისი თანხები ან თავად	

თანამშრომლობის გაძლიერება (ექსპერტების მოზიდვა, გაცვლითი პროგრამები და საერთაშორისო კონკურსები, ფესტივალები)			პედაგოგი მონაწილეობს საერთაშორისო ღონისძიებებში და ხელი მიუწვდება საერთაშორისო რანგის ესპერტიზაზე	ხარჯების ნაწილს ანაზღაურებს საერთაშორისო პარტნიორი	
2.4.1 საერთაშორისო ექსპერტების მოზიდვა გამოცდილების გაზიარების მიზნით	2013-2014	დირექტორი; დირექტორის მოადგილე; დირექტორის თანამემწე; პროგრამებისა და ხარისხის მენეჯერი;	პედაგოგთა გადამზადება, ახალი პროგრამების დანერგვა		გერმანიის განვითარების ფონდი GIZ
ამოცანა 2.5 სასწავლო პროცესის მეთოდოლოგიის გაუმჯობესება			2013 წლისათვის ამოქმედებულია პედაგოგთა გადამზადების სისტემური მოდელი, გადამზადებულია პედაგოგთა სულ მცირე 50%	არსებობს თანხები გადამზადების პროგრამის დაფინანსებისათვის	
2.5.1 პედაგოგების საჭიროებათა კვლევა	2013-2014	დირექტორის მოადგილე; პროგრამებისა და ხარისხის მენეჯერი; სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი.	შექმნილია საჭიროებათა კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარის ფორმა. არსებობს პირველი მოკვლევის შედეგების ანგარიში		
2.5.2 გადამზადების გეგმის შემუშავება	2013-2014	დირექტორის მოადგილე; პროგრამებისა და ხარისხის მენეჯერი; სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი.	შედეგებზე დაყრდნობით შექმნილია გადამზადების გეგმა, რომელიც ასახავს კონკრეტულ დაგეგმილ ღონისძიებებს, ვადებს, სამიზნე ჯგუფებს, გადამზადების უზრუნველყოფის ფორმებს (გარე ტრენინგი, შიდა ტრენინგი, წვთნა, სემინარი თუ სხვა) და საჭირო რესურსებს		
2.5.3 გეგმის განხორციელება და პედაგოგთა გადამზადება	2013-2014	დირექტორის მოადგილე; პროგრამებისა და ხარისხის მენეჯერი; სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი.	ჩატარებული ღონისძიებების ანგარიში		

სტრატეგიული მიზანი 3: ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური რესურსების განვითარება

ინდიკატორი: 2013-2015 წლისათვის რეაბილიტირებულია და აღჭურვილია კოლეჯის დამატებითი სასწავლო ფართი, კამპუსი

აქტივობები	ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორები/გადამოწმების საშუალება	დაშვებები	პარტნიორები
ამოცანა 3.1 კერძო ინვესტორებისა და დონორების მოზიდვა დამატებითი სასწავლო ფართების, კამპუსის და აღჭურვილობის რეაბილიტაციისათვის			მოზიდულია ფართის რეაბილიტაცია და აღჭურვისათვის საჭირო რესურსები	სამშენებლო სფერო ვითარდება, პროფესიული განათლება პრიორიტეტული რჩება საქართველოში, მნიშვნელოვნად არ იცვლება მომწოდებლების ბაზარი	
3.1.1 ფართის დატვირთვის გეგმის შემუშავება	2013-2014	ფინანსური მენეჯერი	ფართის დატვირთვის გეგმა		
3.1.2 აღჭურვილობის განახლება/შემდგომი განახლების გამოვლენა	2013-2014	მატერიალური რესურსების მენეჯერი	საჭიროებების გამოვლენის სტანდარტული ფორმა (შევსებული ფორმები) აღჭურვილობის განახლების/შემდგომი განახლების გეგმა		
3.1.3 საპროექტო წინადადებების შემუშავება	2013-2014	პიარ-ჯგუფი	საპროექტო წინადადებები პრეზენტაციისათვის		
3.1.4 კერძო ინვესტორების/დონორების შეხვედრის ორგანიზება	2013-2014	პიარ-ჯგუფი	შეხვედრის ოქმი		
ამოცანა 3.2 ფინანსების მართვის სისტემის შემდგომი განვითარება			2013 წლისათვის კოლეჯს აქვს ფინანსური მდგრადობის და განვითარების 3 წლიანი გეგმა	კოლეჯის ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია, სტუდენტების ყოველწლიური ნაკადი არ მცირდება	
3.2.1 ფინანსური მართვის მენეჯერის თანამდებობაზე თანამშრომლის აყვანა	2013-2014	იურისტი; საქმეთა მმართველი	სამუშაო აღწერილობა, კონტრაქტი		
3.2.2 კოლეჯის შიდა ფინანსური აუდიტის განხორციელება და რეკომენდაციების პაკეტის შემუშავება	2013-2014	ფინანსური მენეჯერი	შიდა ფინანსური აუდიტის დასკვნა		
3.2.3 შესყიდვების მიმართულებით ერთი თანამშრომლის აყვანა	2013-2014	იურისტი; საქმეთა მმართველი	სამუშაო აღწერილობა, კონტრაქტი		

სტრატეგიული მიზანი 4: სტუდენტების ჩართულობის გაზრდა კოლეჯის საქმიანობასა და აქტივობებში

ინდიკატორი: 2012-2013 წლიდან კოლეჯში ყოველწლიურად სტუდენტების და კურსდამთავრებულთა ინიციატივით და ჩართულობით ტარდება სულ მცირე ორი

ღონისძიება. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, სტუდენტთა უმეტესობა თვლის, რომ მათი ჩართულობა კოლეჯის საქმიანობაში მაღალია.

აქტივობები	ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორები/გადამოწმების საშუალება	დაშვებები	პარტნიორები
ამოცანა 4.1 კურსდამთავრებულთა როლის გაზრდა კოლეჯის განვითარების საქმეში;			კურსდამთავრებულთა კლუბში წევრების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება ფეისბუქის გვერდის მოხმარების მაჩვენებელი	კურსდამთავრებულებს აქვთ კოლეჯთან თანამშრომლობის სურვილი	
4.1.1 კურსდამთავრებულთა ბიზნეს ინკუბატორის ჩამოყალიბება	2012	სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი;	2012 წლისათვის არსებობს კურსდამთავრებულთა ბიზნეს ინკუბატორი		

პროფესიული კოლეჯი "სპექტრი"

მისამართი: ბ ჭიჭინაძის ქ. №10

ტელეფონი: (+995 32) 240-16-87, 245-63-63

E-mail: info@spectri.org

WWW.SPECTRI.ORG